

საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულა

ა) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს იმ კრიტერიუმების შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა (ფორმულა №1):

$$Q_i = K_i^\alpha \text{ თუ } K_i > 0, \text{ ხოლო}$$

$$Q_i = 0,00001 \text{ თუ } K_i = 0,$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

Q_i – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის შეფასება;

K_i – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;

α – i კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს სატენდერო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა $\alpha, \beta, \dots, \gamma$, მაშინ $\alpha + \beta + \dots + \gamma = 1$.

ბ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს.

სატენდერო წინადადების ფასის ან იმ სხვა კრიტერიუმის შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა (ფორმულა №2):

$$Q_j = \left(\frac{1}{K_j} \right)^\beta \text{ თუ } K_j > 0, \text{ ხოლო}$$

$$Q_j = 0,00001 \text{ თუ } K_j = 0,$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

Q_j – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის j კრიტერიუმის შეფასება;

K_j – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის j კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;

β – j კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს სატენდერო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენდეს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა $\alpha, \beta, \dots, \gamma$, მაშინ $\alpha + \beta + \dots + \gamma = 1$.

გ) კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ პირობის შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას.

იმ კრიტერიუმების გათვალისწინებისათვის, რომლებიც გულისხმობს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასება მცირდება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისად, თუ პრეტენდენტი არ აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ აღნიშნულ პირობას/პირობებს.

დ) პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებების ჯამური შეფასებებისა და, შესაბამისად, რანჟირების განსაზღვრა

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შეფასება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით (ფორმულა №3):

$$N_j = Q_1 \cdot Q_2 \cdot \dots \cdot Q_i$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

N_j – j პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასება, სადაც Q_1, Q_2, \dots, Q_i წარმოადგენს ცალკეული კრიტერიუმების შეფასებით მიღებულ ქულებს №1 და №2 ფორმულების შესაბამისად.

№3 ფორმულით დაანგარიშებული სატენდერო წინადადებების შეფასების 0-10-ბალიანი მნიშვნელობის მიღებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა (ფორმულა №4):

$$N_{j(0-10)} = 10 \cdot \frac{N_j}{N_{\max}}$$

ფორმულა №4 ემსახურება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შეფასების პროპორციულად ზრდას ან შემცირებას საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტისთვის მაქსიმალური – 10-ბალიანი შეფასების მინიჭებისათვის.